

## ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის ანგარიშის შესახებ

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №65 დადგენილებით და განისაზღვრა 5300,4 ათ.ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პირველი ცვლილებების საფუძველი იყო 2018 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის განაწილება.

კერძოდ, 2018 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 2098,668,18 (ორი მილიონ ოთხმოცდათვრამეტი ათას ექვსასსამოცდარვა ლარი და თვრამეტი თეთრი თეთრი) ლარი, საიდანაც 843551,55 ლარი ბანკში ანგარიშზე არსებული ნაშთი, ხოლო 2014316,63 ლარი მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე განთავსებული ნაშთი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეორე ცვლილებების საფუძველი იყო საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის 136 განკარგულება, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 2530515 ლარი, რომელიც შემოსულობების ნაწილში აისახა გრანტებში, ხოლო ხარჯებში გადანაწილდა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვაზე, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოებზე და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებაზე.

ცვლილებების გათვალისწინებით ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენს 9800,1 ათას.ლარს.

2018 წლის პირველი კვარტლის შემოსავლების გეგმა შეადგენდა 1,767,300 ლარს. ფაქტიურად შემოსულია 1229137 ლარი. 527 ათასი ლარით ნაკლები, ანუ გეგმის 69%. გადასახადები 43 500 ლარის ნაცვლად შემოვიდა 9621 ლარი, ანუ 33,879 ათასი ლარით ნაკლები, გეგმის 22%. მათ შორის საშემოსავლო გადასახადი 23, 400 ლარის ნაცვლად შემოვიდა 9246 ლარი, ანუ 39,5 %. გადასახადი ქონებაზე ნაცვლად 20100 ლარისა შემოვიდა 375 ლარი, ანუ 1,9%. მათ შორის გრანტები, ნაცვლად 1687,600 ლარის შემოვიდა 1,187,700 ლარი, 500 ათასი ლარით ნაკლები ანუ გეგმის 70,4%.

გათანაბრებითი ტრანსფერი შემოსულია სრულად 1448,00 ათასი ლარი, ანუ 100% ხოლო კაპიტალური ტრანსფერი 500 ათასი ნაცვლად შემოსულია ული. სხვა შემოსავლები 36,200 ლარის ნაცვლად შემოსულია 31,815 ათას ლარი 4,400 ლარით ნაკლები.

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის ნაცვლად დაგეგმილი 5,200 ლარისა შემოვიდა 19,06 ლარი გეგმა შესრულდა გადაჭარბებით. შემოსავლები პროცენტებიდან შესრულდა 29% საქონლისა და მომსახურეობის რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 3500 ლარის ნაცვლად შემოსულია 7,352 ლარი, სანქციები და სუბსიდიების გეგმა იყო 25000 ლარი. შემოვიდა 4326 ლარი, ანუ 20600 ლარით ნაკლები ანუ 17%.

შემოსავლები არაფინანსური აქტივებიდან ნაცვლად 6000 ლარისა შემოსულია 16720 ლარი, ანუ 10720 ლარით მეტი, ანუ 278%.

ხარჯები 2,833,973 ლარის ნაცვლად დაიხარჯა 1,361,870 ლარი 1,472,103 ლარით ნაკლები, ანუ 48%, მათ შორის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები დაფინანსდა ნაცვლად 613,920 ლარისა 440,820 ლარით, ანუ 72%.

ინფრასტრუქტურა მშენებლობა 1,604,737 ლარის ნაცვლად დაფინანსდა 353,811 ლარით, ანუ 1,251 ათ.ლარი ნაკლები, ე.ი. 22%.

გარე განათების თანხა ათვისებულია სრულად 93,94%. მაგრამ საქმე გაუკეთებელია.

განათლება დაფინანსდა 157,100 ლარი , ანუ 95%.

კულტურა რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 93%. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურეობა დაფინანსდა 93%. სარეზერვო ფონდიდან გახარჯულია 8923 ლარი გვესოს მეწყერზე საწინააღმდეგო სამუშაოებისათვის.

ა(ი)პები თითქმის სრულადაა დაფინანსებული.